დიდხნიანი ლოდინის შემდეგ, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ფსიქოლოგიურად და ტაქტიკურად რთულ 120 წუთს 11-მეტრიანების სერია მოჰყვა - 4:2 საქართველო ევროპაზეა.

26 მარტს, „დინამო არენაზე“ გამართულ ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში, ერთმანეთს საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ესპანეთთან თამაშში მიღებული დისკვალიფიკაციისა და ლუქსემბურგთან გამოტოვებული შეხვედრის შემდეგ, ხვიჩა კვარაცხელია სასტარტო თერთმეტეულში მოხვდა. თამაში პირველივე წუთიდან დაძაბული გამოდგა. მერვე წუთზე ბერძენთა საჯარიმოში, ლაშა დვალი ბურთზე აღიმართა. ტაიმის ბოლოს გიორგი ჩაკვეტაძემ კარში ზუსტი დარტყმა შეძლო, თუმცა ელადელთა მეკარემ ბურთი მოიგერია. ხვიჩა კვარაცხელიასა და ბუდუ ზივზივაძის დამსახურებით, პირველ ტაიმში ბერძენთა სამმა მცველმა ყვითელი ბარათებიც მიიღეს. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა და დაინიშნა დამატებითი ტაიმები. ბერძნებმა კარში პირველი ზუსტი დარტყმა მე-100 წუთზე მოახერხეს, თუმცა მამარდაშვილმა მოწინააღმდეგეთა კაპიტნის ბურთი მოიგერია. დამატებით ტაიმში გიორგი მიქაუტაძემ არაჩვეულებრივი საგოლე პასი მისცა ზურიკო დავითაშვილს, კვლავ უშედეგოდ. მეორე დამატებით დროში კვარაცხელია დაიმტვრა, მის ნაცვლად მოედანზე გიორგი ქვილითაია შემოვიდა. საბოლოოდ პენალტების სერია დაინიშნა. 11-მეტრიანების სერიაში მამარდაშვილმა ბერძნების დარტყმული ერთი ბურთი აიღო, საქართველოს ნაკრებმა კი ხუთიდან მხოლოდ ერთი პენალტი გააფუჭა. ნიკა კვეკვესკირის მიერ შესრულებული ზუსტი 11-მეტრიანით, ისტორიაში პირველად, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა.

„21 წლამდელების ევროპის ჩემპიონატზე პენალტების სერიამ იმდენად ცუდი ემოცია დამიტოვა, რომ ძალიან არ მინდოდა ისევ ამ გზით გაგვერკვია გამარჯვებული. თუმცა არაფერია თერთმეტმეტრიანების სერიაში მოგებაზე ემოციური“ - ამბობს setanta sports-ის კომენტატორი ანდრო ხელაძე და თამაშის შემდგომ ემოციებს გვიზიარებს. „მივხვდი, რომ ბაბუა, რასაც 1981 წელზე მიყვებოდა, სრულიად სიმართლე იყო და არაფერი გადაუჭარბებია.“

ევრო 2024-ს გერმანია, 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით უმასპინძლებეს. საქართველოს ნაკრები F ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მეტოქეებად თურქეთის, პორტუგალიისა და ჩეხეთის ნაკრებები გვყავს.

ნაკრები, 2020 წლის ერთა ლიგის ფინალში ჩრდილოეთ მაკედონიასთან დამარცხდა. სათამაშო შემადგენლობას ტრავმების გამო ჩაკვეტაძე და კვარაცხელია აკლდა, კოვიდ პანდემიის გამო კი თამაში მაყურებლის გარეშე ჩატარდა, თუმცა 2024 წლის ისტორიულ გამარჯვებაში გულშემატკივარმაც დიდი როლი შეიტანა.

ტრიბუნებზე ისმოდა გამამხნევებელი შეძახილები, ყველა ერთხმად მღეროდა, არამხოლოდ ჰიმნს, არამედ „ზღაპრის ბოლო კეთილიას“. „ზოგადად ფეხბურთის თამაში უდიდესი ადრენალინია და ამას 60 ათასი ადამიანის ემოცია რომ ემატება, წარმოიდგინეთ რა ემართება ფეხბურთელს, რომელიც ასევე ადამიანია და მისი სხეულიც არაა შეჩვეული ყველაფერს“ - ასე ხსნის ქომაგების მნიშვნელობას ლუკა მილორავა, setanta sports-ის კომენტატორი და იმედოვნებს, რომ ამ ტიპის გულშემატკივრობა ერთჯერადი არ იყო.

ფინალში გამარჯვებას წინ უძღვოდა ევრო 2024-ის ნახევარფინალურ შეხვედრაში, ბუდუ ზივზივაძის დუბლით ლუქსემბურგის დამარცხება. „მზად ვართ. ყველაფერი გვაქვს ევროზე სათამაშოდ. შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ ევროპის სრულფასოვანი ნაწილი ვართ.“ - ამბობს ანდრო ხელაძე და აზუსტებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგის მიღწევის ამბიციაც და იმედიც აქვს.